შპს ”მ ა ქ ს ი ს ტ უ დ ი ო”

ქ. თბილისი, ტოლსტოის ქ. №19, ტელ. 295-16-00

18დეკემბერი2018წ №3-81

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბლისში, საბურთალოს რ-ში, სულხან ცინცაძის ქ. №57-ში (ს/კ. 01.10.14.028.089) მდებარე აგურის გამწოვი მილის დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის შესახებ

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია აგურის გამწოვი მილის დემონტაჟის პროექტი ალბომის სახით, რომელიც შედგება განმარტებითი ბარათისგან, გრაფიკული და ფოტო მასალისგან.

პროექტში განხილულია სამშენებლო მოედნის და ობიექტის დახასიათება - აგურის გამწოვი მილი მდებარეობს სულხან ცინცაძის ქ.№57-ში, (ს/კ. 01.10.14.028.089), შენობა აგებულია 70-იან წლებში, რომელიც განკუთვნილი იყო გათბობა-წყალმომარაგების სისტემისთვის, მისი საწყისი დიამეტრი შესადგენს 4მ-ს, სიმაღლე 58მ-ს. შენობა აგურით არის ნაშენები, და შეკრულია ლითონის სალტეებით ყოველ 2 მეტრში.

სადემონტაჟო პროექტში განხილული არის გამწოვი მილის დაშლის მეთოდოლოგია თავების სახით, კერძოდ:

I. სამშენებლო მოედნისა და ობიექტის დახასიათება.

II. დასანგრევი შენობის დახასიათება და ნგრევის პირობები.

III. ნგრევის ხანგრძლივობის დადგენა

IV. დემონტაჟის საინჟინრო მომზადება და მისი წარმართვის ცალკეული ეტაბები

V. დემონტაჟის წარმოების და მეთოდები

VI. რეკომენდირებული სამშენებლო მანქანა დანადგარები, მექანიზმები და ინტრუმენტები.

VII. მშენებლობაზე შრომისა და უსაფრთხოების წესების დასცვა.

VIII. ეკოლოგია და ბუნების დაცვა.

IX. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შედგენის ნორმატიული ბაზა – გენგეგმა, დემონტაჟის განხორციელების კალენდარული გეგმა

X. სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების კალენდარული გრაფიკი.

უნდა აღინიშნოს, რომ გამწოვი მილის დაშლის მეთოდად აღებულია სამრეწველო ალპინიზმი, რაც თავის-თავში გულისხმობს მილის დაშლაში ალპინიზმის განხრით მომზადებული პროფესიონალი პერსონალის მონაწილეობას. ასევე პროექტში გამახვილებულია ყურადღება შემდეგ ძირითად საკითხებზე: ნორმებიდან გამომდინარე სამშენებლო მოედანი შემოღობილია დროებითი ღობით 25X25მ (ნორმით სიმაღლის 0.3-0.5) მილის დაშლა ხდება ზემოდან ქვედა მიმართულებით. მილის შიგნით კეთდება დროებითი ჰორიზონტალური ხარაჩოები სალტეების ზონაში, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდება დროებითი კიბეებით პერსონალის სამუშაო ადგილებზე ასასვლელად. მილის დაშლის დაწყებისას ასევე გარე პერიმეტრზე პირველი ლითონის სალტეს დონეზე კეთდება დროებითი ჰორიზონტალური ხარაჩოები (სიგანით 1 მეტრამდე) ლითონ კონსტრუქციების საშუალებით, რომლებიც ედუღება ლითონის სალტეებს. მილის პირველი მონაკვეთის დაშლის შემდეგ ხსენებული ხარაჩოები გადმოდის შემდეგ ქვედა სალტეზე და ა.შ. უსაფრთხოების ნორმებიდან გამომდინარე დროებითი ღობით შემოღობილ ტერიტორიაზე უცხო პირების შესვლა კატეგორიულად იკრძალება. ასევე პროექტის მიხედვით მუშა-პერსონალი დაბმულია არსებული მილის მზიდ კონსტრუქციებზე და გააჩნიათ ყველა საჭირო ალპინისტური მოწყობილობები. სხვა უსაფრთხოების ნორმები პროექტის მიხედვით რეგულირდება სნ და წ 111-4-80. ასევე პრექტში გათვალისწინებულია ქვემოთ მოცემული სამრეწველო ალპინიზმის იურიდიული ნორმები და ალპინისტური მოწყობილობების სახელმწიფო სტანდარტები, კერძოდ:

Удерживающие системы. ГОСТ Р 12.4.205-99.

Стропы. ГОСТ Р 12.4.223-99.

Страховочные привязи. ГОСТ Р 12.4.224-99.

Соединительные элементы. ГОСТ Р 12.4.225-99.

Пояса предохранительные. ГОСТ Р 12.4.184—95.

Основные требования к инструкции по применению и маркировке. ГОСТ Р 12.4.226-99.

Методы испытаний. ГОСТ Р 12.4.206-99

დემონტაჟის ორგანიზაცის პროექტი დამუშავებულია საკმარისი მოცულობით, სამშენებლო ნორმების და წესების დაცვით, როგორც ტექსტობრივ, ისე გრაფიკულ ნაწილში.

ყველა ზემოთქმულიდან გამომდინარე ექსპერტი აძლევს დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტს რეკომენდაციას გამწოვი მილის დემონტაჟის დასაწყებად.

ექსპერტი, ინჟინერი: /ნ. კაციტაძე/

საქართველო

დიპლომი უა № 003157

მიეცა ნინო [illegible] ასული ქაჯაიაძეს

მასზე, რომ ის 1989 წელს შევიდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

და 1995 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული კურსი

„საშრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის" სპეციალობით.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1995 წლის „28" ივნისის გადაწყვეტილებით

ნ. ქაჯაიაძეს მიენიჭა ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ქალაქი თბილისი „23" VII 1996 წ.

რეგისტრაციის № 4193

МПФ Гознака. 1996.

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 380733
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B11151739
ამონაწერის მომზადების თარიღი: 20/10/2011 10:03:42

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს მაქსი სტუდიო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონი, ტოლსტოის ქ., №19
საიდენტიფიკაციო კოდი:	204556211
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი:	09/06/2008
მარეგისტრირებელი ორგანო:	თბილისის საგადასახადო ინსპექცია
საგადასახადო ინსპექცია:	თბილისის რეგ.ცენტრი ძველი თბილისის გ-ბა

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01001027149, ნინო კაციტაძე,
  დირექტორი, ,

პარტნიორები

	წილი	ანგარიშის ნომერი
01001027149, ნინო კაციტაძე,	100.00000000%	204556211-SH-00001

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

- საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა102010173621 21/11/2010 17:30:00
  შპს მაქსი სტუდიო ს/ნ 204556211
  საგანი: მთელი ქონება, მთელი ქონება
  საფუძველი: შეტყობინება, N0055245, 21.11.2010, თბილისის რეგიონული

ენტრი "ძველი თბილისის" გ-ბა

ძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება:
ან დაგვიკავშირდეთ: 25 15 27; 895 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურსა და ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.